საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 46 (6592) 25 ნოემბერი ხუთშაბათი 1993 წელი

## გამოიწერეთ „ლეჩხუმი“

დღეს, როცა ყველაფერი ასე გართულდა, ჩვენი ცხოვრება ისე აეწყო, რომ გადაადგილება გაძნელებულია, უსაშველოდ გაძვირებულია, სულ რომ არ გავიმთელოთ ამ ცხოვრებას და გარკვე ყოველდღიურ ორომტრიალში, საჭირო და აუცილებელია ინფორმაცია. მას ჩვენი გაზეთი მოგაწვდით, იგი ყველა ოჯახის სასურველი სტუმარი უნდა იყოს.

„ლეჩხუმზე“ ხელმოწერა 6 თვით 10 ათასი კუპონი ღირს. რას იზამთ, აუცილებლობა გვაიძულებს. ბევრს შეიძლება ძვირადაც მოეჩვენოს. რა შეიძლება იყიდოთ ამ ფასად, როცა კილოგრამი ლობიო 25 ათას კუპონად იყიდება, კილოგრამი ვაშლი კი—20 ათასად.

შეგახსენებთ, რომ გაზეთ „ლეჩხუმის“ გამოწერა შეიძლება რედაქციაში, თუ ჩვენთან მოსვლას ვერ ახერხებთ, თქვენს უახლოეს საფოსტო განყოფილებას მიაკითხეთ. ხელმოწერა 25 დეკემბრამდე გრძელდება.

ლეჩხუმელებო, ნუ დარჩებით „ლეჩხუმის“ გარეშე.

### ჩვენი ადამიანის საკეთილდღეოდ

# კომპენსაცია, დახმარებები

**ამას წინათ „საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ და „პურის საცალო ფასის მოსალოდნელ გადიდებასთან დაკავშირებით მოსახლეობისათვის კომპენსაციის მიცემის შესახებ“, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილებები, რომლებსაც განმარტავს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი კალანდაძე.**

1993 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე (თანამდებობრივი სარგოები, განაკვეთები და სხვა) უნდა იყოს თვეში 23000 კუპონი. ამაში კი დანამატები, წანამატები, პრემიები და სხვა წამახალისებელი გასაცემლები არ არის გათვალისწინებული.

ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, თავდაცვის, სამართალდამცავ და ადმინისტრაციულ, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში დასაქმებულ მუშაკთა თანამდებობრივი სარგოები, სტიპენდიები, დახმარებები, შემწეობები, დანამატები, წანამატები, არამომუშავე პენსიონერთა პენსიები და სხვა გასაცემლები, მუშაკთა შრომის საათობრივი განაკვეთები სასწავლო მეცადინეობის ჩატარებისათვის 150 პროცენტით გადიდდა.

დაწესდა, რომ მუშამოსამსახურეთა და გადასახადით (დაბეგვრის მხრივ) მათთან გათანაბრებულ მოქალაქეთა ხელფასი და სხვა შემოსავლები პურის კომპენსაციის ჩათვლით (30000 კუპონი), რაც მიღებულია მათ ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება.

ამასთან გადაწყდა, რომ პურის საცალო ფასის მოსალოდნელ გადიდებასთან დაკავშირებით, კომპენსაცია მოსახლეობაზე წლეულს ნოემბერში სულზე 3400 კუპონი გაიცეს, ხოლო დეკემბერში 6800.

ბიუჯეტზე არსებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, თავდაცვის, სამართალდამცველ და ადმინისტრაციულ, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობით ორგანოებში დასაქმებულ ძირითად (გარდა შემოსავლებისა) მუშაკთა თანამდებობრივი სარგოები, რომელიც ძალაშია 1993 წლის 1 ნოემბრიდან, ნოემბერში—3400 კუპონით გადიდდა, ხოლო დეკემბერში 6800, ამავე ოდენობით გადიდდა 1993 წლის 1 ნოემბრიდან მოქმედი სტიპენდიები, დახმარებები, შემწეობები, არამომუშავე პენსიონერთა პენსიები და სხვა სახის გასაცემლები.

სამეურნეო ანგარიშზე არსებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში (საკუთრების ფორმის მიუხედავად) დასაქმებულ თითოეულ მუშაკზე და კოლმეურნეზე პურის გაძვირებასთან დაკავშირებით აღნიშნული კომპენსაცია 1993 წლის ნოემბერში 3400 კუპონის, დეკემბერში 6800 კუპონის ოდენობით გაიცემა, მოგებისა და შესაბამისად მოგებიდან ბიუჯეტში გადასახდელების შემცირების ხარჯზე.

**—რომლებსაც არ აქვთ მოგება და მოგებიდან ბიუჯეტში გადასახადი? ან საკმარისი სახსრები ნოემბერ—დეკემბერში საკომპენსაციო თანხების გასაცემად?**

—შესაბამის საფინანსო ორგანოებში (საწარმოს თუ ორგანიზაციის ადგილმდებარეობის მიხედვით) წარადგენენ სათანადო გაანგარიშებით განცხადებას, რომლის შემოწმების შემდეგ საფინანსო განყოფილების (სამმართველოს) უფროსის ხელმოწერით სათანადო დოკუმენტები საკომპენსაციო თანხების გასაცემად წარედგინება მომსახურე საბანკო დაწესებულებებს. იგი გასცემს საჭირო თანხებს და ხარჯებს მიაკუთვნებს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს.

კომპენსაცია უნდა გაიცეს თვეში ერთხელ, არაუგვიანეს თვის 15 რიცხვისა.

დავაკონკრეტებ: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა კატეგორიის არამომუშავე პენსიონერის, მათ შორის მოხუცებულობით პენსიონერთა, 1 და 2 ჯგუფის ინვალიდთა, 16 წლამდე ინვალიდ ბავშვთა სოციალური პენსიები, წელთა ნამსახურებისა და პერსონალური, პენსიები მარჩენალის დაკარგვის გამო, ყველა სახის მე—3 ჯგუფის ინვალიდებისა და სოციალური პენსიები, 150 პროცენტით გადიდდა, ამას კი დაემატა პურის კომპენსაცია: ნოემბერში 3400 კუპონი, ხოლო დეკემბერში 6800.

**—ბავშვიანი ოჯახებისთვის რა რაოდენობის დახმარებები დაწესდა?**

—ბავშვების დაბადებისას ერთდროული დახმარება 30000 კუპონი, ხოლო 1,5 წლამდე ბავშვის მოვლისათვის ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით;

1,5—დან 6 წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისათვის ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 40 პროცენტია.

მარტოხელა დედების და იმ ბავშვებისათვის, ვისაც ალიმენტის ურჩი გადამხდელი მშობელი ჰყავთ, ყოველთვიურად მინიმალური ხელფასის 40 პროცენტი დახმარება გაიცემა.

6—დან 18 წლამდე ასაკის დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლების (სალამოს სწავლების) მოსწავლეებისათვის, აგრეთვე 6—დან 18 წლის ასაკის ბავშვებისთვის, რომლებიც არ სწავლობენ (არ მუშაობენ) და არ იღებენ პენსიებს და სხვა სახის სოციალურ გასაცემლებს, ყოველთვიური დახმარება მინიმალური ხელფასის 25 პროცენტი ეკუთვნით.

აღნიშნულ დახმარებებს დაემატება პურის კომპენსაცია ნოემბერში 3400 კუპონი, ხოლო დეკემბერში 6800 და გაიცემა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის და რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებიდან.

6 წლამდე ასაკის ბავშვების ყოველთვიური დახმარებები გაიცემა ბავშვის დედაზე მის ძირითად სამუშაო (სწავლის) ადგილზე, ხოლო თუ დედა არ მუშაობს (არ სწავლობს)—მიიღებს მამა (მშობლის შემცვლელი პირი) იგივე წესით. თუ ბავშვის არც ერთი მშობელი (მშობლის შემცვლელი პირი) არ მუშაობს (არ სწავლობს), დახმარება გაიცემა სოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ მშობლის (მშობლის შემცვლელი პირის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

6—დან 18 წლამდე ასაკის დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლების (სალამოს სწავლების) მოსწავლეებისა და ბავშვების, რომლებიც არ სწავლობენ (არ მუშაობენ) და არ იღებენ პენსიებს და სხვა სოციალურ გასაცემლებს, ყოველთვიური დახმარებები გაიცემა მოსწავლის (ბავშვის) მამაზე მის ძირითად სამუშაო ადგილზე, ხოლო თუ მამა არ მუშაობს—მიიღებს დედა იგივე წესით. თუ მოსწავლის (ბავშვის) არც ერთი მშობელი (მშობლის შემცვლელი პირი) არ მუშაობს, დახმარება გაიცემა სოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ მშობლის (მშობლის შემცვლელი პირის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**—ბატონო გიორგი, თუ 18 წლამდე ასაკის ბავშვის ორივე მშობელი, ან ერთ-ერთი სწავლობს ფასიან სასწავლებელში, ხოლო მეორე არ მუშაობს?**

—დახმარებას მიიღებს ბავშვის დედა სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**—ვინ მიიღებს ბავშვის დაბადებისას ერთდროულ დახმარებას?**

—დედა, სამუშაო ადგილის მიხედვით, ხოლო თუ დედა არ მუშაობს, მიიღებს მამა, თუ არც ერთი არ მუშაობს, გასცემს სოცუზრუნველყოფის განყოფილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**—ყოველთვიური დახმარება—მინიმალური ხელფასის 25 პროცენტი, პურის კომპენსაცია წლეულს, ნოემბერში—3400 კუპონი, ხოლო დეკემბერში—6800 კუპონი მოსახლეობის რომელ კატეგორიას დაუწესდა?**

—მოგახსენებთ, სახელმწიფო უმაღლესი, საშუალო სპეციალური, პროფტექნიკური სასწავლებლების და ფასიანი სასწავლებლების სტუდენტებს (მოსწავლეებს) ასაკის მიუხედავად, თუ ისინი არ იღებენ სტიპენდიებს, ხელფასებს, პენსიებს, და სხვა სოციალურ გასაცემლებს; დიასახლისებს; დედებს, რომლებიც არსებული წესის შესაბამისად ბავშვის მოვლისათვის შვებულებაში იმყოფებიან; უმუშევრის სტატუსის არმქონე პირებს, რომლებიც აღრიცხვაზე არიან შრომითი მოწყობის ორგანოებში და არ იღებენ კანონით დადგენილ სხვა დახმარებებს (შემწეობებს).

ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებისათვის (უმუშევრის სტატუსის არმქონე პირების გარდა) ყოველთვიური დახმარებები და კომპენსაციები გაიცემა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან, ხარჯების შემდგომი ანაზღაურებით შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

სახელმწიფო უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფსასწავლებლების სტუდენტები (მოსწავლეები), რომლებიც არ იღებენ სტიპენდიებს, ხელფასებს, პენსიებს და სხვა სოციალურ გასაცემლებს, ყოველთვიურ დახმარებას და

(დასასრული მე—2 გვერდზე)

# კომპენსაცია, დახმარებები

(დასასრული)

სტიპენდიას, ხელფასებს, კომპენსაციას მიიღებენ უშუალოდ სწავლის ადგილზე.

18 წლამდე ასაკის ფასიანი სასწავლებლების სტუდენტების, მოსწავლეების დახმარებებს მიიღებენ მამები, ხოლო 18 წლის ასაკს გადაცილებული ფასიანი სასწავლებლების სტუდენტები (მოსწავლეები, რომლებიც არ იღებენ სტიპენდიებს, ხელფასებს, პენსიებს და სხვა სოციალურ გასაცემლებს, აგრეთვე დიასახლისები, ყოველთვიურ დახმარებას და კომპენსაციებს მიიღებენ სოციუზრუნველყოფის განყოფილებებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დედები, რომლებიც არსებული წესის შესაბამისად ბავშვის მოვლისათვის იმყოფებიან შვებულებაში, ყოველთვიურ დახმარებას და კომპენსაციას მიიღებენ ძირითად სამუშაო (სწავლის) ადგილზე.

უმუშევრის სტატუსის არმქონე პირები, რომლებიც აღრიცხვაზე შრომითი მოწყობის ორგანოებში იმყოფებიან და არ იღებენ კანონით დადგენილ დახმარებებს (შემწეობებს), ყოველთვიურ დახმარებას და კომპენსაციას მიიღებენ შრომის ბირჟებზე დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან, ამ ხარჯების შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტებიდან შემდგომი ანაზღაურებით.

**—რა ოდენობით განისაზღვრა სტუდენტებისა და მოსწავლეების სტიპენდიები შრომის ანაზღაურების მინიმალური ხელფასის დონის მიმართ?**

—სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების „ფრიადოსანი სტუდენტებისათვის—80 პროცენტი: მხოლოდ კარგი, ან კარგი და ფრიადი შეფასების მქონე სტუდენტებისათვის—75, აკადემიური მოსწრების მქონე დანარჩენი სტუდენტებისათვის—70—65—60 პროცენტი, ხოლო სახელმწიფო პროფსასწავლებლებში ფრიადოსანი მოსწავლეებისათვის—60 პროცენტი, დანარჩენი კატეგორიის აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისათვის—50. ამასთან ერთად მიიღებენ პურის კომპენსაციას ნოემბერში და დეკემბერში შესაბამისად იგივეს—3400, 6800 კუპონს.

**—ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფოს კმაყოფაზე (არ სარგებლობენ უფასო ბინით და კვებით), ეძლევათ დახმარება?**

—რა თქმა უნდა,—მინიმალური ხელფასის ოდენობით—23000 კუპონი და ყველასთვის დაწესებული პურის კომპენსაცია: ნოემბერში—3400 კუპონი, დეკემბერში—6800. მათ კი, ვინც სახელმწიფო კმაყოფაზეა (სარგებლობს უფასო ბინით, კვებით) ეძლევა დახმარება მინიმალური ხელფასის ერთი მესამედი 7670 კუპონი.

**—იმათ, ვინც მოხუცებულობით იღებენ პენსიას, მინიჭებული აქვთ ლტოლვილის სტატუსი და არ იმყოფებიან სახელმწიფოს კმაყოფაზე (არ სარგებლობენ უფასო ბინით და კვებით)?**

—პენსია სრული ოდენობით მიეცემათ. დახმარება კი მინიმალური ხელფასის 20 პროცენტის (4600 კუპონის) ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იმყოფებიან სახელმწიფოს კმაყოფაზე (სარგებლობენ უფასო ბინით და კვებით), მიეცემათ მხოლოდ პენსია სრული ოდენობით.

ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს დახმარებასა და კომპენსაციებს მისცემენ საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტში.

**—უმუშევრის სტატუსის მქონე პირებისათვის თუ დაწესდა შემწეობები?**

—პირველი 3 თვის განმავლობაში მინიმალური ხელფასის 80 პროცენტი; მეოთხედან მეექვსე თვის ჩათვლით—70 პროცენტი, მეშვიდედან მეცხრე თვის ჩათვლით—60 პროცენტი, მეათედან მეთორმეტე თვის ჩათვლით—50 პროცენტი.

**—ხომ არიან უმუშევრის სტატუსის მქონენი, რომლებიც პირველად ეძებენ სამუშაოს (უმაღლესი ან საშუალო, საშუალო სპეციალური და პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები და სხვა), შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულები, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთისა და იძულებით მკურნალობის ადგილებიდან გათავისუფლებულნი?**

—მათთვის შემწეობის ოდენობა განსაზღვრულია უმუშევრის სტატუსის მოქმედების პირველი 6 თვის განმავლობაში მინიმალური ხელფასის 60 პროცენტი, ხოლო დანარჩენი 6 თვის მანძილზე 50 პროცენტის ოდენობით;

**—თუ პიროვნებას აქვს სხვადასხვა სახის შემოსავალი, რომელს დაემატება საკომპენსაციო თანხა?**

—მხოლოდ ძირითადი სახის შემოსავალს (ძირითად თანამდებობრივ განაკვეთს, სარგოს, საათობრივ ანაზღაურებას, პენსიას, დახმარებას, სტიპენდიას და ა. შ.).

საკომპენსაციო თანხები გათვალისწინებულია დაუბეგრავ მინიმუმში, ამასთან, მათ არ ერიცხებათ სოციალური დაზღვევის თანხები.

**—როგორ ანაზღაურდება კუთვნილი შვებულება?**

—ახალი თანამდებობრივი სარგოებით კომპენსაციის გათვალისწინებით.

**—ბატონო გიორგი, რამდენადაც ვიცი, სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად. სამეურნეოანგარიშიანი საწარმოები და ორგანიზაციები შრომის ანაზღაურების ფორმებს, სისტემებსა და ოდენობას, აგრეთვე შემოსავლების სხვა სახეობას განსაზღვრავენ დამოუკიდებლად, შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის გათვალისწინებით, იზღუდება თუ არა შრომის ანაზღაურების მაქსიმალური დონე?**

—არა.

**—გლეხურ მეურნეობებში დასაქმებულ პირებს ვინ მისცემს პურის კომპენსაციას?**

—კომპენსაციას გასცემენ მეურნეობები საკუთარი სახსრებიდან.

სოფლად მცხოვრები ის პირები კი, რომლებსაც „საქართველოს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის დადგენილებით კერძო საკუთრებაში ერიცხებათ მიწის ნაკვეთი, ჩაითვლებიან არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულებად და მათზე დახმარებები არ გაიცემა.

**—თუ არის დახმარება დაკრძალვაზე?**

—რა თქმა უნდა, 50 000 კუპონი.

## პურის საცალო ფასების შესახებ

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით დამტკიცდა და 1993 წლის 16 ნოემბრიდან სამოქმედოდ შემოღებული იქნება პურის საცალო ფასები. ამასთან დაკავშირებით დარგის მარცვალგადამამუშავებელ და პურსაცხობ საწარმოებს დაუწესდათ ზღვრული რენტაბელობა 10 პროცენტის ოდენობით.**

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო გამოსცემს პურის საცალო ფასების პრეისკურანტს.

საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების კორპორაცია, ცეკავშირის გამგეობა პურის საცხობად განკუთვნილი ფქვილის რესურსების 10 პროცენტამდე გამოიყენებენ განსხვავებული ასორტიმენტის საწარმოებლად, რომლის საცალო ფასს თვითონ მოაწესრიგებენ, რეალური დანახარჯებიდან გამომდინარე 10-პროცენტიანი ზღვრული რენტაბელობის ფარგლებში. ამ წესით გამოყენებული ფქვილის (შესაბამისი ხორბლის) რაოდენობა გამოირიცხება სახელმწიფო დოტაციის გაანგარიშებიდან.

მიღებულ იქნა ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ოქტომბრის 774 დადგენილებით გათვალისწინებულია პურის საცალო ფასების გადიდებასთან დაკავშირებით მოსახლეობის დამატებითი ხარჯების სრული კომპენსაცია მოხმარების საშუალო ნორმის ფარგლებში.

ერთი კილოგრამი პური საშუალოდ 700 კუპონი ეღირება.

ბაზარი და ჩვენ

## გამძლეობის იმედით

ბაზარი დღეს ერთადერთი სავაჭრო ადგილია, სადაც შეიძლება სასურსათო პროდუქტის შეძენა. ბაზარში შემოსულ ვაჭარს ფაქტიურად კონკურენტი არა ჰყავს, რაც საშუალებას აძლევს ფასი დააწესოს საკუთარი სურვილის მიხედვით, ეს თავმინებებული ფასები კი საკმაოდ მძიმე ტვირთია მოსახლეობის საოჯახო ბიუჯეტისათვის.

ვერ ვიტყვით, რომ ლეჩხუმელები მხოლოდ ბაზრის იმედად არიან, საკუთარი მეურნეობებიდან მიღებული პროდუქციაც გააჩნიათ, მაგრამ ამ პროდუქციას, ტრადიციულად მთელი წლის სარჩოდ არავინ იგულებს, რადგანაც რაიონის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მისი გაყიდვის ან გაცვლის გზით იძენს სამრეწველო საქონელს და ისეთ აუცილებელ პროდუქტებს, როგორიცაა: პურის ფქვილი, შაქარი, ჩაი.

პროდუქციის გაყიდვა-გაცვლა ძირითადად ბაზარში ხდება, ამიტომაცაა, რომ ბაზრის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის საქონლის შეძენა შეიძლება. იქვე განლაგებული კომერციული ჯიხურები, საქონლის სიმცირის გამო, მოკრძალებულად გამოიყურებიან ბაზრის გაცხოველებული ვაჭრობის ფონზე.

ბაზარში ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, რომ ვაჭრობა ნატურალური სახით (საქონელი — საქონელზე) მისაღებია როგორც საქონლის მფლობელისათვის, ასევე მყიდველისათვის, ვაჭრობის ამ ფორმის უპირატესობა გამოწვეულია მზარდი ინფლაციით, და კიდევ მოსახლეობაში არსებული ფულის ნიშნების სიმცირით (საბაზრო ფასების მოთხოვნილებასთან შეფარდებით).

საბაზრო ფასები კი საოცარი სისწრაფით იზრდება. კილოგრამი ლობიოს ფასი 25 ათასი კუპონია, ხოლო კილოგრამი საქონლის ხორცი 30 ათასი კუპონი ღირს. ყოველდღიურად იზრდება კარტოფილის (ამჟამად კილოგრამის ფასი 15 ათასი კუპონია), კომბოსტოს, ჭარხლის ღირებულება, ნიორი 30 ათას კუპონად იყიდება, გაიზარდა სიმინდის ფქვილის ფასი, კილოგრამი 14 ათასი კუპონი ღირს, რაც შეეხება ფრინველის, ღორის ხორცის, ნიგოზის ფასს, საკმაოდ კოლოსალურია.

ზემოთჩამოთვლილი ფასების შესაბამისად მამაკაცის რეზინის ფეხსაცმელს 15 კილოგრამ ლობიოში ცვლიან, 60 კილოგრამ ღორის ხორცის (ცოცხალი წონა) კი 300 კილოგრამ პურის ფქვილში.

პროდუქციის პროდუქციაზე გაცვლა წარმოუდგენელი შეფარდებითაც ხდება, მაგალითად, 20 კილოგრამ ყველში ერთ წყვილ მამაკაცის რეზინის ჩექმას შემოგთავაზებენ. ისიც გვითხრეს, თვითნაკეთ ელექტროღუმელს 2 ვედრო ლობიოზე ცვლიან(?).

ჯერ კიდევ მიმდინარე თვის პირველ რიცხვებში ორმაგად გაიზარდა კომერციული ფასები. მაშინ, როცა მინიმალური ხელფასი 23 ათასი კუპონია, ერთი ცალი სარეცხი ფხვნილი 25 ათასი კუპონი ღირს. თუ რა რეაქციას იწვევს ეს ფასები მოსახლეობაში, ცნობილია, ყოველი კომერციული ჯიხურის მახლობლად გესმის წუხილი გაზრდილი ფასების გამო.

ასეთ ეკონომიკურ გარემოცვაში, როცა მინიმალურის მოპოვების პრობლემა ჩნდება, ძნელია ივარაუდო მათი ბედი, ვინც თვიდან თვემდე, გასაცოდავებული კუპონებით საზრდოობს, და მაინც მოთმინების ძაფის გამძლეობის იმედით დაველოდებით კუპონის კურსის გამყარებას და ფასების დარეგულირებას სასიცოცხლოდ აუცილებელ საქონელზე.

ლ. ცხვედიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბრუნდებით!..

## დამატებითი შტრიხები დაუმთავრებელი პორტრეტისათვის

ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ...

მერამდენედ ადევნებს უცხო ქარავანს ფეხარეულ მზერას, მწარე ფიქრებს ვერგარიდებული. ნაფუძარისკენ ბრუნდება მოტეხილი ტოტი. აქეთ სიცოცხლის გზაა—ზეცისგან ნაბოძები და ასე სანუკვარი სიცოცხლის—უკან კი მთელი ცხოვრება—მწარე, მაგრამ სიცოცხლის წყურვილით აღბეჭდილი გზა. უკან ორი შვილის საფლავია და დასაწვავად განწირული (იქნებ მაინც გადარჩეს!) სახლ—კარი—მთელი ცხოვრება. უკან ეწევა გზა, მაგრამ ძნელია დაბრუნება—შეურაცხყოფის, წამების, სიკვდილის შიში წინ მიერეკება უცხო ქარავანს—სურგზე ცხოვრებააკიდეულ, წინგაშტერებულ და წარსულთან გამყოფ უფსკრულებში, ნამდვილ, კლდოვანხახადაბჩენილ უფსკრულებში მზერაჩაკიდებულ ადამიანებს. სიცოცხლის გადარჩენის დიადი სურვილი მიერეკება მათ ამ თოვლიან, ყინვიან, ავაზაკებიან გზაზე და უკან რჩება ვერგადარჩენილი სხეულები გაყინული თვალებითა და ჯერაც შერჩენილი მცირე სითბოთი. ჯოჯოხეთის გზაზე მიდის სიცოცხლისკენ ადამიანთა შეძრწუნებული ქარავანი.

ვაჰ, სოფელო...

რაღაც საშინლად ექაჩება უკან. იქნებ შვილების საფლავები და განწირული (იქნებ გადარჩეს!) სახლ—კარი!.

ვაჰ, სოფელო...

და უცებ მიხვდა—სული დარჩენია იქ—ნასამოთხარში—მისი სული—ნაწერებით სავსე ჩანთა, მარანში გადამალული მთელი ცხოვრება. უკან ბრუნდება. მოტეხილი, ორშვილმკვდარი, დარჩენილი ჯალაბით სამშვიდობოსკენ დევნილი. უკან მიუყვება წვალებით ამოვლილ კილომეტრებს, შეურაცხყოფის და სიკვდილის შიშისაგან დროებით, იმ ჩანთის ხელში ჩაგდებამდე თავდახსნილი. სულ რამდენიმე დღის წინ მტრის ტყვიით მოკლული, განა მარტო მისთვის საამაყო შვილი დამარხა, დღეს კი ჩანთისთვის ბრუნდება უკან.

იმ ჩანთაში მისი სულია...

* * *

პირველი ლექსი მეხუთეკლასელმა დაწერა. როგორც ყველა ბავშვს, მასაც ეოცნებებოდა... და გაბედა—რედაქტორს მიუტანა. მისი პირველი რედაქტორი. გაზეთს „ბოლშევიკური ტემპით" ერქვა, ხოლო რედაქტორი მიშა ჩაკვეტაძე დღესაც ცხადლივ ახსოვს პიმენ ლეთოდიანს. ახსოვს და უყვარს, როგორც ღვიძლი რამ, ახლობელი. მისი პირველი რედაქტორი.

მერე „ნორჩ ლენინელში" წერდა. დღესაც ამაყობს იმ ფელეტონით, ქულბაქელ ყმაწვილს უყოყმანოდ რომ დაუბეჭდა მიშა ჩაკვეტაძემ. იმ ფელეტონზე რეაქციამ გააამაყა სამუდამოდ კალმის სიყვარულის სენშეყრილი ახალბედა ჟურნალისტი. ცაგერის პედაგოგიურ სასწავლებელში სწავლობდა მაშინ. მის ოცნებას, ამ მძლავრფრთებიან, ფერადოვან ფრინველს პირველად ფრთები მაშინ ჩამოეყარა, როცა 1942 წელს, სასწავლებლის დამთავრებისთანავე, ფრონტზე გაგზავნეს. ოფიცერთა სკოლა დაამთავრა და სტალინგრადის ფრონტზე იბრძოდა. მისი პირველი ომი... ოცმეთაურის მოადგილე კონტუზიის გამო ჰოსპიტალში მოხვდა. მერე მალევე დაბრუნდა სახლში. აქ, ქულბაქში მუშაობდა, სამხედრო საქმეს ასწავლიდა თანასოფლელ ბავშვებს. 1949 წლიდან გაზეთ „ლელოს" საკუთარი კორესპონდენტია აფხაზეთში, მისი მშობლების ახალ მამულში და ოცნებამაც ისევ გაშალა ერთხელ ჩამოყრილი ფრთები. აქვეყნებდა „საბჭოთა აფხაზეთში", რაიონულ გაზეთებში. ფეხდაფეხ შემოიარა მთელი აფხაზეთი, გაიცნო ადამიანები—ყველა ოჯახში სასურველი სტუმარი იყო—შეიყვარა ისინი—ასე სხვადასხვანაირები და მაინც ერთნი—ადამიანობის ნიშნით აღბეჭდილნი. აფხაზური სტუმართმოყვარეობა მაინც არავინ დაიჩემოსო. კი, ძმები ვიყავით, ახლაც ძმები ვართ, ოღონდ გაყიდული, და ვერაგი, სისხლსმოწყურებული მტრისგან სატანური ხერხებით სამტროდ გადაკიდებული ძმები. უაზროდ, ულმერთოდ დაღვრილი სისხლის მდინარე გაწვა ჩვენს შორის და მის საზარელ, შავად მუქწითელ ტალღებში ჩაიძირა ოდინდელი ძმების თითქოსდა გაუბზარავი სიყვარული. რა, რა აღადგენს?!.

სასურველი სტუმარი იყო—მეთქი ყველა ოჯახში. სიტყვის (და კალმის) ძალას ერთნაირად აღიარებდნენ ორივე სამყაროში—რკინის ფარდის მიღმა და აქაც. ამიტომ ჟურნალისტი ყოველთვის განსაკუთრებული სტატუტით სარგებლობდა აქაც და იქაც. ზოგჯერ ეშინოდათ კიდეც—კალამი უჭრიდა და შავსა და თეთრს არჩევდა გაზეთის ფურცლებზე. გაზეთის გარეშე მისი ცხოვრება უკვე აღარ იყო ცხოვრება. ამიტომ წერდა და აქვეყნებდა. ზოგჯერ არც აქვეყნებდა. მაგრამ წერა მოთხოვნილებად ექცა, ისევე, როგორც სუნთქვა ან პური... მხრებზე დაწოლილ წლების მძიმე ტვირთს მხოლოდ წერა უმსუბუქებდა, კალმის ყოველ მოსმას თან მიჰქონდა დარდი და მხოლოდ მსუბუქ სევდას ტოვებდა პატრონის გულში.

წლებს კი მაინც თავისი გაჰქონდა. უფრო სწორად დროს მოჰქონდა მკაცრი სუსხი, მწარე ხელი ჰქონია დროს, მწარედაც სცოდნია დარტყმა. ვაჟკაცი შვილის სიკვდილმა ერთბაშად გადაუტეხა მრავალჭირგადახდილი, მაგრამ მაინც უდრეკი ქედი. უარესზე მაშინ ვერც იფიქრებდნენ ის და მისი ცხოვრების მეუღლე, პედაგოგი, სხვისი და თავისი შვილების ჩინებულად აღმზრდელი ქალბატონი. ეს რა ყოფილა! თავბრუდამხვევი სისწრაფით აზვირთდა ომი, მისი მეორე ომი. მაგრამ ამჯერად მისსავე მამულში. მისივე ხელით აგებულ სახლს და ბაღნარად ქცეულ კარ—მიდამოს ემუქრებოდა ჭურვი და ცეცხლი, ამ მამულის დამცველ ბიჭებს ფლეთდა ჯავრი და ტყვია. ეს მისი, საკუთარი მამულის ომი იყო და პიმენ ლეთოდიანი ახალგაზრდების გვერდით იბრძოდა. იბრძოდა კალმით სამხედრო გაზეთის „ჯიხას" კორესპონდენტი. ეს მისი ომი იყო და მისი, საკუთარი შვილის სიცოცხლეც იმსხვერპლა. არადა მისით ამაყობდნენ ერთი შვილის ულვთოდ დამკარგავი მშობლები. მისი ვაჟკაცური აღნაგობითა და სულით, სულგაყიდული არძინბას მიერ მილიონად შეფასებული მისი ცოცხალი თავით, მისი ჭკუითა და მხედრობით, მისით... ომის უკანასკნელ აკორდს საამაყო ვაჟკაცის უკანასკნელი ამოსუნთქვაც შეერია. გმირის სიკვდილით დაეცა მამულისთვის მებრძოლი ტახუნა ლეთოდიანი.

ვაჰ, სოფელო რაშიგან ხარ...

მერამდენედ ადევნებს უცხო ქარავანს ფეხარეულ მზერას, მწარე ფიქრებს ვერგარიდებული. მცირე ხნით ნაფუძარში ბრუნდებიან დევნილები. აქ იშვა მათი სისხლი და გენი, აქ ლეჩხუმში ბევრი ნაცნობ—მეგობარი და გულშემატკივარი ყავთ. აქ მათი სამშობლოა, სამშობლო კი შვილს ყოველთვის და უამებს ტკივილებს. მაგრამ აქ დროებითი ნავთსაყუდარია მხოლოდ—ახლანდელი მამული—გავერანებული, აწიოკებული, გაპარტახებული აფხაზეთი ელოდება თავის შვილებს.

* * *

—ის გაზეთი მომეცი, შენი კვნესამე, სადაც ჩვენს დაბრუნებაზე წერია,—გაზეთის ჯიხურთან უკანასკნელ შემორჩენილ კუპონებს ითვლიან მამულიდან დევნილები.

დავბრუნდებით! —პიმენ ლეთოდიანს სხვაგვარად არც უფიქრია.

**ია ხმელიძე.**

# ომი და სოფელი

გაისარჯნენ, მოსავალიც უხვად შეიტანეს ოჯახებში. ოჯახებში კი შეიტანეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ოდესღაც უსახელოურის სოფლო სოფელმა ქვეყნის მარანში მისატანი ცოლიკაურიც ვერ გადაირჩინა. მიუხედავად მოვლა—პატრონობისა, ვაზს ამინდმა არ გაუმართლა და ისეთებმაც კი, რომლებიც მევინე და მევენახე ოჯახებადაა გამორჩეული, წლიდან წლამდე ოჯახის საჭიროების დასაკმაყოფილებელიც ძლივს მიიღეს საჭავიეროდ. სიმინდსა და ლობიოს მოსავალს არ ელოდებიან აქაურები. სოფლის ერთადერთ ელექტროწისქვილს, რომელსაც ორ სოფელში (ისუნდერი და მახურა) ჯერჯერობით ანალოგი არ ჰყავს, მოცლა არა აქვს, ზამთრის პირია და ზოგჯერ სადღეღამისოდ იფქვება ადამიანთა სარჩო—საბადებელი.

ახლა შემოდგომაა და სოფელში მუშა კაცის ოჯახს კი არა, ხეივზე მონავარდე ჩიტებსაც არ შიათ, მაგრამ სხვა დროს მოშიებულ, ულუკმაპუროდ დარჩენილ ადამიანებსაც შეხვდებით. ლუკმა, მუდამ მჭადის ჭამასაც ვერ ეგუებიან ოჯახები, განსაკუთრებით ბავშვებია ცოდვა, როგორც ერთმა სტუმარმა ბიჭუნამ მიპასუხა—მიყვარს, არ მიყვარს მაინც უნდა ვჭამო, აბა, რა ვქნაო. სოფელში მახსოვს პურსაც თესდნენ. იყო თავთავით დატვირთული ხოდაბუნები. სოფელს ჰქონდა კალო და საკუთარ მიწაზე მოწეულ, გალეწილ—განიავებულ პურის კაკალს ფქავდნენ და გემრიელად მიირთმევდნენ. მაშინ მიწის დამუშავების ძალაც იყო, 40—50 ულელი მუშა—გამწევი ჰყავდათ და სხვისი სახვეწ—სავედრებელი არაფერი ჰქონდათ. ის კია არა ერთი სოფლის დღევანდელობისათვის შესაფერი, ერთი ჩვეულებრივი მთის სოფლის ცხოვრებით ცხოვრობს მაღალმთიანი სოფელი ისუნდერი. ომის ტკივილით გამოწვეული სევდა და მწუხარება ამ სოფელსაც სწვევია და აწუხებს.

ბევრი ისუნდრელი გადავიდა საცხოვრებლად ჩვენი რესპუბლიკის ამ ლამაზ და მიმზიდველ კუთხეში, რასაც აფხაზეთი ჰქვია, ბევრი გულსაწყვეტს უდანაშაულო სიცოცხლე შეიწირა ამ ომმა, ვინც უცხოტომელთა ბარბაროსობას გამოექცა, მამაპაპეულ სოფელში შეაფარა თავი.

უჭირს სოფლის მოსახლეობას. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თვეში 5 კილოგრამი პურით და შემთხვევიდან შემთხვევამდე მიღებული 750 გრამი შაქრით უმასპინძლოს სტუმარს. ღმერთის წყალობით გამრჯე და მუყაითი ხალხი ცხოვრობს სოფელში და დარწმუნდნენ რა ისევ და ისევ თავის იმედით, თუ არა სხვის იმედზე ყოფნა არას არგებდათ, რაც შეუძლიათ ძალი იმის მომსწრეც კია სოფელ ზუგის მაღაზიაში გასაყიდად [illegible] იდო და მისი ყიდვა არავის სჭირდებოდა.

რა გვეშველება? სოფელმა ბოლოსდაბოლოს ის დასკვნა გამოიტანა, ხელი უნდა გავოვილოთ, უნდა ვიშრომოთ და გვეშველება, აუცილებლად გვეშველება. ეს უნდა მოხდეს დროზე, რაც შეიძლება მალე. რაოდენ გულსაწყვეტია, რომ უსახელოურის ვაზის აღსადგენად არაფერი კეთდება და ძვირფასი დრო გვეკარგება, ხელიდან გვეცლება. სანამ სოფელს ის ადამიანები, ვინც ამ ვაზის მყნობა—გახარების საიდუმლოება იციან, თითოოროლა მაინც შემორჩენია, ამ საქმის მიხედვა უნდა.

სოფელში ისეთი ოჯახებიც გაჩნდა, ვინც კარტოფილის მოვლა—მოყვანაში გამოსცადა თავი, საამისოდაც ნოყიერი გამოდგა აქაური ნიადაგი.

ასე რომ შრომობს და ასე თუ ისე ცხოვრობს ხალხი. თქვენ წარმოიდგინეთ ამ დუხჭირ გარემოში, გამრავლების პერსპექტივაც გაჩნდა, შობადობა გაიზარდა. აქ ერთი თვის წინათ სოფელში ქორწილიც გაიმართა, ერთი ლამაზი, პედაგოგთა ოჯახი შეიქმნა. იყო წყნარი, დროის შესაფერი და პურმარილით უხვი ქორწილი, არც ისე მხიარული და ხმაურიანი, თამადამ და მექორწილეებმა ფეხზე ადგომით შესვეს აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა შესანდობარი.

100—150 კაციანი ქორწილი გადაუხადა შვილს, თბილისიდან სოფელში საცხოვრებლად ჩამოსულ ფიზიკოსს იაშა მანდარიამ. ჩიტის რძეც არ აკლდა სუფრას და თქვენ წარმოიდგინეთ თადარიგიანი და ჭკვიან კაცს, რომ იტყვიან, ჭირის გადალმა გადასვლა არ დასჭირვებია, პურიც და შაქარიც ადრინდელი ნაყიდი ჰქონდა. შინ გამომცხვარი თონის პურები ამშვენებდა მაგიდას.

წმინდა გიორგის სადღესასწაულო დღეს თითქმის სოფლის ყველა ოჯახში ანთო სანთელი, მიცვალებულის სულის მოსახსენიებელ სუფრაზე ახალდადუღებულ ზედაშესთან ერთად იყო ყველაფერი. სოფლის ცენტრში ამ საუკუნის დასაწყისში აღმართულ წმინდა გიორგის ეკლესიაში ენთო სანთელი. იყო ლოცვა—კურთხევა ოჯახსა თუ სრულიად საქართველოს გადასარჩენად.

ასე შეხვდა სოფელი წლევანდელ გიორგობას, რომლის მადლი ყოველი გასაჭირის დროს ფარავდა და კვლავაც დაიფარავს ჩვენს მრავალტანჯულ მიწას.

ასე რომ, იმედით, საკუთარი ძალის იმედით ცოცხლობს სოფელი, ადამიანებს სწამთ და სჯერათ, რომ ხვალინდელი დღე სულ სხვა და უკეთესი იქნება.

**ჯ. მანდარია.**

# გამთარი კარგია. გვექნება თუ არა ელექტროენერგია?

მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში გვიხდება ცხოვრება, ელემენტარული პირობებიც არაა, რომ ადამიანმა ხელფასზე იცხოვროს. დეფიციტია არსებობისათვის ისეთი აუცილებელი რამ, როგორიცაა პური, გაზი, ნავთი, ასანთი, საპონი, თუმცა თითქმის ყველაფრის დეფიციტია. წინ კი მძიმე, ჩვენი კუთხისთვის დამახასიათებელი მკაცრი ზამთარი გველის. ჩვენი გაზეთის მკითხველებს აინტერესებთ, გვექნება თუ არა ზამთარში ელექტროენერგია.

სწორედ ამ კითხვით მივმართეთ ლაჯანურჰესის ხელმძღვანელობას და ქვემოთ ვბეჭდავთ მთავარი ინჟინრის მერაბ მუჯკვანის პასუხს.

ელექტროენერგიის დეფიციტისგან ღმერთმა დაგვიფაროს. გვესმის რა ადამიანთა მძიმე ყოფითი განსაცდელი, პირველ რიგში მოვალეობისადმი პასუხისმგებლობამ და შემდეგ რესპუბლიკის მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა გვიკარნახა, რომ როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყოველმხრივ მზად შევხვედროდით ზამთარს.

მინდა დავარწმუნო რაიონის მოსახლეობა, რომ ამ მხრივ შიში ნუ ექნებათ. მიუხედავად სიძნელეებისა, ელექტროენერგიის მიწოდების მხრივ რესპუბლიკის სხვა რაიონებთან შედარებით ჩვენთან უკეთესი მდგომარეობა ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება, რადგან ლაჯანურჰესი ჩვენს ტერიტორიაზეა, ლეჩხუმისაა და პირველ რიგში უნდა მოემსახუროს ლეჩხუმს.

რაც შეეხება ზამთარს და რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობას, ენერგეტიკა, საერთოდ და განსაკუთრებით კი ზამთრის პერიოდში განიცდის კრიზისს, რაც გამოწვეულია წყლის დეფიციტის გამო, ამას ემატება მაზუთის, გაზის უქონლობა, თბოელექტროსადგურები აღარ მუშაობენ, ამ დროს მთელი ყურადღება გადატანილია ელექტროენერგიაზე, იზრდება ენერგომომსახურების წილი მოხმარებაში, რაც იწვევს შეფერხებებს.

ამასთან მოსახლეობას კარგად მოეხსენება, რომ რესპუბლიკაში კვლავ გრძელდება საომარი ვითარება, ადგილი აქვს გაუთვალისწინებელ ავარიულ შემთხვევებს, დივერსიულ აქტებს, აფეთქებენ მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებს. ამ დროს, რა თქმა უნდა, ირღვევა სისტემის რეჟიმი, იქმნება გრაფიკული მდგომარეობა და ლაჯანურჰესისთვისაც; როგორც სისტემაში ჩართული ჰესისთვის იქმნება სიძნელეები და ასეთ შემთხვევაში თავისთავად მოსალოდნელია შეფერხება. სხვა მხრივ, მდგომარეობა არ გაუარესდება, პირიქით.

მინდა რაიონის მოსახლეობამ იცოდეს, ბევრი რამაა დამოკიდებული ამ დროს რაიონის საქსელო უბანზე, მისი კოლექტივის თითოეულ წევრზე, მეტი მობილიზება უნდა გაუკეთონ თავიანთ ძალებს, აამაღლონ თითოეული უბნის მუშაკის, ელექტრომონტიორის პასუხისმგებლობა, რომ ადგილზე შექმნილი სიძნელეებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად თავის მხრივ დაბრკოლება არ შეუქმნან მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდებას.

# ვინ გამოიგონა საპონი

ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, ჩინეთში, ბაბილონში, ასურეთსა და სხვა ქვეყნებში სარგებლობდნენ ნივთიერებებით, რომლებიც აცილებდნენ ჭუჭყს, აიოლებდნენ რეცხვას. „ნედლეულის“ სახით გამოიყენებოდა ბუნებრივი ტუტის მარილები, მცენარეები, ნაცარი, ქონი. ანტიკურ დროში საპონს ამზადებდნენ თხის, ცხვრის ან ხარის ქონისაგან და უმატებდნენ წიფლის ნაცარს. იგი ფასით არ ჩამოუვარდებოდა ძვირადღირებულ წამლებსა და კოსმეტიკას, საპნით ძირითადად ბანაობის დროს სარგებლობდნენ. თუმცა, ძველი რომაელები მას მარტო ჭუჭყის მოსაცილებლად კი არა, თმის შესაღებადაც იყენებდნენ (განსაკუთრებული დანამატების წყალობით). შუა საუკუნეებში საპნის დამზადებით განთქმული იყო საფრანგეთის სანავსადგურო ქალაქი მარსელი, იგი სხვა ქვეყნებში ამ პროდ[illegible]დებელი იყო. რუსეთში საპონი პირველად მხოლოდ პეტრეს ეპოქაში შემოვიდა, მაგრამ XIX საუკუნის შუა წლებამდე საპნით მხოლოდ არისტოკრატია თუ სარგებლობდა. გლეხები იბანდნენ და რეცხავდნენ მხოლოდ თუთქით—ნაცარს ასხამდნენ მდუღარე წყალს და დგამდნენ ღუმელში.

დღეს საპონი, რა თქმა უნდა, გამოირჩევა იმისგან, რომლითაც სარგებლობდნენ რამდენიმე ათასი წლის წინათ. იგი მზადდება ყოველგვარი სურნელოვანი დანამატებით, სხვადასხვა ფორმისა და ფერის. საპონს სარეცხ ფხვნილთან შედარებით ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს—იგი არ აჭუჭყიანებს მდინარეებისა და ტბების წყალს, მას იოლად ითვისებენ და გადაამუშავებენ მიკროორგანიზმები.

## ხსოვნა

# შირმან მდივანი

2 წელი შესრულდა 21 ნოემბერს შენი წასვლიდან, ჩემო საყვარელო შირმან!.. ისევ გელოდებით შენი ცოლშვილი, დედ—მამა, დედმამიშვილები... მოგვენატრა შენი ხმა, ღუღუნით შემოსვლა შენს საყვარელ სახლში.

სწავლა გწყუროდა, მე—5 კურსზე გადასვლით დაამთავრე შენი ნაადრევი ცხოვრება. წახვედი 40 წლის ვაჟკაცი და დაგვიტოვე უზომო სევდა და ცრემლი. რამდენჯერ სიკვდილს გადარჩენილი ასე უბრალოდ, მოულოდნელად გამოგვეცალე ხელიდან.

ჩემო შირმან!.. დღესაც არ ავიწყდებათ შენი ვაჟკაცობა და მეგობრობა შენს თანამშრომლებს, თანაკლასელებს, თანაკურსელებს, მეზობლებს და ნათესავებს. გვეფერებიან და პატივს გვცემენ, სურთ არ გვაგრძნობინონ უშენობა, შირმან!

გვეამაყება შენი დატოვებული ვაჟკაცის სახელი. ეამაყებათ კარგი მამა კობას, ნინიკოს და ლაშას...

ღმერთმა გაგინათოს გზა ზეციურ სასუფეველში, ჩემო საყვარელო, ჩემო მონატრებულო, შირმან!

შენი ნათელა.

---

დედა ფაფალა, და მაყვალა, ძმები სერგო, ტრისტანი, რძალი მთვარისა, სიძე გოჩა ბიძები, დეიდები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუგზარი (გიზო) ვლასის ძე ცინარიძე**

გამოსვენება 27 ნოემბერს, შაბათს, სოფ. ლასურიაშიდან დღის 2 საათზე, დაკრძალვა სოფ. სანორჩში.

---

ჟორა, ავთანდილ მუშკუდიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**გიზო ცინარიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სამედიცინო სასწავლებლის მეორე კურსის მსმენელები თანაუგრძნობენ ნათელა ცხვედიანს დედის

**ანიკო ცხვედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რაიონული აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათელა, მელსი ყურაშვილებს დედისა და სიდედრის

**ანიკო ცხვედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილი ნათელა ცხვედიანი, სიძე მელსი, შვილიშვილები დათო, მარიკა მძახალი ლუბა ყურაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანიკო თადეოზის ასული ცხვედიანი**

დაკრძალვა 27 ნოემბერს, შაბათს, დღის 2 საათზე, ამბროლაურის რაიონის სოფ. ქვიშარში.

---

გენადი სილაგაძე, ალუდა ზურაბიანი, მურთაზ გურჯალიანი თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ანიკო ცხვედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალიკო, ჯემალი, იური როლანდი სილაგაძეები, ოთარი, გულივერ ხმელიძეები ოჯახებით იუწყებიან

**გიზო ვლასის ძე ცინარიძის**

გარდაცვალებას.

---

ცაგერის სამედიცინო სასწავლებლის 1 კურსის მსმენელები თანაუგრძნობენ ნათელა ცხვედიანს დედის

**ანიკო ცხვედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სვარიონ მუშკუდიანი, ვლადიმერ ხეცურიანი, ზურაბ ჩიქოვანი, ზურაბი, მამია დაშნიანები, ვაჟა ახვლედიანი, თამაზ მურცხვალაძე, ნოდარ კოპალიანი, ჯოგო ბაკურაძე, თინა ყურაშვილი, ჯანუგი ხვადაგიანი, რომან კალანდაძე, ლემინო ლიპარტელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნათელა, მელსი ყურაშვილებს დედის

**ანიკო ცხვედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ტვიშის საკრებულოს თანამშრომლები შოთა გოდოლაძე, ზაზა ჩაკვეტაძე, რობერტ, ნარგიზა ნელი ასათიანები, ცირა გაგიძაშვილი, მერი ყურაშვილი, სვეტა ნემსწვერიძე თანაუგრძნობენ ნონა მათეს ასულ ასათიანს დედის

**ანიჩკა სანდროს ასული სვანიძე—ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკის მედპერსონალი თანაუგრძნობენ ნათელა ცხვედიანს დედის

**ანიკო ცხვედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებო!

**ხათუნა, იაგო ფუტკარაძეებს**

გილოცავთ ბედნიერებას. გაზაფხულივით ლამაზი ცხოვრება შეგექმნათ. სიხარული, სიყვარული და სიმრავლე ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური.

**სოფიკო, კახა, დათუნა მუშკუდიანები.**

**ნინო ჭაბუკიანს, თემურ ირემაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ და იმრავლეთ.

**გონდო ახვლედიანი ოჯახით.**

## გილოცავთ

**ლადო ომანაძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს, ღმერთი იყოს შენი მფარველი.

**ნათია, ლევან ზურაბიანები.**

**გოგი გრიშას ძე გოგიძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს. სიკეთე და სიყვარული დაგბედებოდეს.

**კულტურის განყოფილების ცენტრალური ბუღალტერიის თანამშრომლები.**

**დომნა, ზურაბ ახვლედიანებს**

გილოცავთ თქვენი შვილების თამარის და ავთანდილის ბედნიერებას. შეექმნათ ფუძემლიერი ოჯახი.

**ტვიშის საექიმო ამბულატორიის და აფთიაქის თანამშრომლები.**

**გამომცემელი—რედაქციის კოლექტივი**

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56, ტელეფონი 22—81.

შეკვეთა №86 ტირაჟი 1856

ცაგერის რაიონული სტამბა